დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში

ადამიანის უფლებათა ცენტრი
HUMAN RIGHTS CENTER (HRC)

დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში

ავტორი: გიორგი კაკუბავა

რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

იურისტები: თამარ ქურთაული, დიმიტრი ნოზაძე

2020

არასამთავრობო ორგანიზაცია **ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)** დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

• ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org

• წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org

• ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org

• სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC);www.coalitionfortheicc.org

მისამართი:
0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ www.humanrights.ge
ვებ-საიტი: hridc.org

ანგარიში მომზადდა საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.

სარჩევი

1. შესავალი ---------- 4

2. საგანგებო მდგომარეობა და შეზღუდული უფლებებები ------ 5

3. იურიდიული დახმარება ---------- 8

4. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ საქმის წარმოების პროცესში გამოვლენილი ტენდენციები ---------- 10

5. დასკვნა ---------- 19

1. შესავალი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივისა (GDI) და ადამიანის უფლებათა ცენტრის (HRC) ერთობლივი პროექტის - „დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში“[1] ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა წინამდებარე ანგარიში, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია 2020 წლის ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეებისთვის გაწეული იურიდიული დახმარების შესახებ. ანგარიში ასახავს 2020 წლის ივნისიდან 2020 წლის დეკემბრის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეებისთვის იურიდიული დამხარების ფარგლებში გაწეული სამუშაოს აღწერილობით და შეფასებით ნაწილს. ანგარიშში, ასევე, ასახულია ქვეყანაში საგანგებო მდომარეობის პირობებში და შემდგომ პერიოდში მოქალაქეების მომართვის საფუძველზე გამოვლენილი პრობლემები.

პროექტის იურიდიული დახმარების ძირითადი მიზანი იყო სამართლებრივი დახმარების გაწევა იმ მოქალაქეებისათვის, რომელთა უფლებები დაირღვა კორონავირუსთან დაკავშირებით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში ანდა საჭიროებდნენ სახელმწიფოს მიერ ადეკვატურ და მყისიერ რეაგირებას უფლებების დაცვის მიზნით.

ამასთანავე, პროექტის ფარგლებში იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილი იყო საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ, კორონავირუსით გამოწვეულ პრობლემებთან, საჭიროებებთან და უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

[1]პროექტის შესახებ ინფორმაცია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20165&lang=geo

პროექტის - „დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობებში“ განხორციელება შესაძლებელი გახდა საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით.

2. საგანგებო მდგომარეობა და შეზღუდული უფლებებები

ახალი კორონავირუსის (COVID-19) სწრაფმა და მასშტაბურმა გავრცელებამ მსოფლიო დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა. მათ შორის გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა.

2020 წლის 26 თებერვალს ჯანდაცვის მინისტრის მიერ გამართულ ბრიფინგზე ცნობილი გახდა, რომ საქართველოში პირველი კორონავირუსის შემთხვევა დადასტურდა[2]. კოვიდინფიცირებულთა რაოდენობის ზრდის გამო, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საჭიროებაზე აქტიურად დაიწყო საუბარი.

საგანგებო მდგომარეობა არის მოცემულობა, როდესაც მთავრობას ენიჭება განსაკუთრებული უფლებები, გაატაროს რიგი შემზღუდველი მოქმედებები, რომელთა გატარების უფლებაც ჩვეულებრივ პირობებში არ შეუძლია. როგორც წესი, ამგვარი სიტუაცია იქმნება ბუნებრივი კატასტროფების, პანდემიების/ეპიდემიების, სამოქალაქო ან შეიარაღებული კონფლიქტების დროს. საგანგებო მდგომარეობის მიზნებს, წესებს განმარტავს და არეგულირებს „საგანგებო მდგომარეობის შესახებ[3]“ საქართველოს კანონი. საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მეორე

[2]იხ.ინფორმაცია - https://bit.ly/32WD1gF;
[3] იხ.საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონი - https://matsne.gov.ge/ka/document/view/33472?publication=7;

პუნქტი კი ადგენს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების წინაპირობებს[4].

2020 წლის 21 მარტს, საქართველოს პარლამენტი საგანგებო სესიის პლენარულ სხდომაზე შეიკრიბა და საგანგებო მდგომარეობის შესახებ პრეზიდენტის ბრძანება[5] დაამტკიცა. ასევე, პარლამენტმა დაამტკიცა „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი[6].

2020 წლის 21 მარტს პარლამენტის მიერ დამტკიცებული პრეზიდენტის N1 დეკრეტით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული ძირითადი უფლებები, კერძოდ - თავისუფლების უფლება, მიმოსვლის თავისუფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, სამართლიანი და ადმინისტრაციული წარმოების უფლება, საკუთრების უფლება, შეკრებისა და შრომის უფლება. დამტკიცებული აქტით, შეზღუდვა არ შეხებია კონსტიტუციის მე-17 მუხლით აღიარებული აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას.

2020 წლის 22 მაისს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანას[7]. შემოთავაზებული ცვლილების მიზანი იყო, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშე, მთავრობას მისცემოდა შესაბამისი შემზღუდველი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა. კანონში შესული ცვლილებების შემდეგ, შეიცვალა იზოლაციისა და საკარანტინე

[4] იხ. საქართველოს კონსტიტუცია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36;
[5] იხ.პრეზიდენტის ბრძანება - https://bit.ly/3lPt9g4;
[6] იხ.პრეზიდენტის N1 დეკრეტი https://bit.ly/32XWrSu;
[7] იხ. ნორმატიული აქტი - https://matsne.gov.ge/ka/document/view/4876537?publication=0;

ღონისძიებების განმარტება. ასევე, ცვლილებით შესაძლებელი გახდა პირთა მიმოსვლის, საკუთრების, შრომის, საჯარო დაწესებულებების საქმიანობის, პროფესიული ან ეკონომიკური საქმიანობის, უკანონო მიგრაციის/საერთაშორისო დაცვის, ასევე ფიზიკურ პირთა ღონისძიებების ჩატარებისთვის შესაბამისი შეზღუდვების დაწესება.

საქართველოს მთავრობის „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 23 მაისის N322-ე დადგენილებაში 9 ნოემბერს ცვლილება განხორციელდა[8], რომლის საფუძველზეც დიდ ქალაქებში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, ზუგდიდში, გორსა და ფოთში 22:00 საათიდან დილის 5:00 საათამდე პირთა გადაადგილება (როგორც ქვეითად, ასევე - სატრანსპორტო საშუალებით) და საჯარო სივრცეში ყოფნა შეიზღუდა, ამასთან, აღნიშნული შეზღუდვა გავრცელდა წინასაარჩევნო კამპანიაზეც (აგიტაციაზე).

ზემოხსენებული ცვლილებების არაკონსტიტუციურობა პროექტში მონაწილე ორგანიზაციებმა ერთობლივი საჯარო განცხადებით შეაფასეს. მთავრობის მიერ კოვიდ ინფექციის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები სამართლებრივი ბუნებით უთანაბრდება კომენდანტის საათს, რომლის დაწესების სამართლებრივი ბერკეტი მთავრობას არ აქვს. *კონსტიტუციური მოთხოვნების და საერთაშორისო სტანდარტების საპირისპიროდ, საქართველოს მთავრობამ ფაქტობრივად ჩაანაცვლა კანონმდებელი და ყოველგვარი საჯარო დისკუსიებისა და განხილვის გარეშე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევით, შემოიღო ახალი, მაღალი ინტენსივობის შეზღუდვა*[9].

[8] იხ. დადგენილება https://bit.ly/38VhoRw;
[9] იხ. ISFED, GDI, HRC, TI ერთობლივი განცხადება - https://bit.ly/2IOV69a;

3. იურიდიული დახმარება

ადამიანის უფლებათა ცენტრმა პროექტის დასაწყისში მოამზადა სოციალური ვიდეორგოლი, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას პროექტისა და უფასო სამართლებრივი დახმარების შესახებ[10], რომლის შედეგადაც ორგანიზაციას არაერთი უფლებადარღვეული მოქალაქე დაუკავშირდა

ორგანიზაციის იურისტებმა იურიდიული დახმარება გაუწიეს მოქალაქეებს, რომელთა უფლებები დაირღვა კორონავირუსთან დაკავშირებით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ამასთანავე იურიდული დახმარება უზრუნველყოფილი იყო საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგაც.

პროექტის ფარგლებში შესაძლო სამიზნე საქმეებს წარმოადგენდა:	
1	დასაქმებულების შრომის უფლებების დაცვა
2	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დაჯარიმება საგანგებო მდგომარეობის წესების დარღვევის გამო
3	არასათანადო მოპყრობისა და უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები სამართალდამცავი პირების მხრიდან
4	ოჯახში ძალადობის შემთხვევები
5	საბანკო ურთიერთობები, სესხის გადავადება და გაზრდილი პროცენტები
6	მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული დახმარება მოქალაქეთა მოწყვლადი ჯგუფებისათვის, მათ შორის – თვითდასაქმებული და შშმ პირებისათვის
7	კორონავირუსთან კავშირში გამოვლენილი სხვა საჭიროებები, პრობლემები და უფლებადარღვევები

[10] იხ. ვიდეო რგოლი - https://bit.ly/35LWVfW;

მოქალაქეთა მომართვიანობის საფუძველზე, იურისტების მიერ გაცემული იურიდიული კონსულტაციების გაანალიზებამ შესაძლებელი გახადა ძირითადი პრობლემატური საკითხების გამოვლენა, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა მოქალაქეებს საგანგებო მდგომარეობის შემოღების და მისი დასრულების შემდგომ მთავრობის მხრიდან დაწესებული რიგი შეზღუდვების გამო.

ორგანიზაციის იურისტებმა 2020 წლის ივნისის თვიდან 2020 წლის დეკემბრის ჩათვლით 465 მოქალაქეს გაუწიეს უფასო იურიდიული კონსულტაცია.

იურიდიული კონსულტაციების ძირითადი შინაარსი იყო შემდეგი სახის:	
1	სახელმწიფოს მიერ პანდემიით დაზარალებულ მოქალაქეებზე გასაცემი ერთჯერადი 300-ლარიანი და უმუშევრად დარჩენილ დასაქმებულებზე ექვსი თვით ყოველთვიურად 200-ლარიანი კომპენსაციის გაცემაზე უარი
2	შრომითი დავები - კერძო კომპანიების მიერ თანამშრომლების უხელფასო შვებულებაში გაშვება და ასევე პანდემიის მოტივით უკანონოდ გათავისუფლება
3	ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის პერიოდში საპატრულო პოლიციის მიერ 3000 ლარით უკანონოდ დაჯარიმება
4	საბანკო საკითხები - საშეღავათო პერიოდში კომერციული ბანკების მხრიდან გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები და ყოველთვიური შენატანები
5	ქვეყნის მასშტაბით საკარანტინე სივრცეში მოქალაქეების დაუსაბუთებელი დაყოვნება
6	მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული დახმარება მოქალაქეთა მოწყვლადი ჯგუფებისათვის, მათ შორის, თვითდასაქმებული და შშმ პირებისათვის

4. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ საქმის წარმოების პროცესში გამოვლენილი ტენდენციები

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები მყისიერად ერთვებოდნენ კონკრეტულ საქმეებში, სადაც აშკარად იკვეთებოდა როგორც სახელმწიფოს, ასევე – კერძო კომპანიების მხრიდან სავარაუდო უფლების დარღვევის ფაქტი.

პროექტის ფარგლებში იურისტები ჯამში 27 საქმეში ჩაერთვნენ	
10 საქმე	მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს საერთო სასამართლოებში
9 საქმე	მიმდინარეობს ადმინისტრაციულ და კერძო კომპანიებში
5 საქმე	დასრულებულია წარმატებით
3 საქმე	სხვა

ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის დროს დაწესებული კომენდანტის საათის დარღვევის საფუძვლით, ასევე მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესების დარღვევის ფქტზე, საქართველოს მასშტაბით არაერთი ადამიანი დაჯარიმდა პოლიციის მიერ[11].

ამასთანავე, დაჯარიმებების მეორე ტალღა უკავშირდება საქართველოს მთავრობის „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 23 მაისის N332-ე დადგენილებაში 9 ნოემბერს შესულ ცვლილებებს, რომელიც იმავე დღეს შევიდა ძალაში.ცვლილებების თანახმად,

[11] შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ყოველდღიურად ხდებოდა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის ფაქტების სტატისტიკის განახლება - https://bit.ly/33ftUI1;

გადაადგილება შეიზღუდა დიდ ქალაქებში 22:00 საათიდან დილის 5:00 საათამდე.

ორგანიზაციის იურისტებმა მათ წარმოებაში არსებულ საქმეებზე მიმართეს შსს-ს შესაბამის სამსახურს უკანონოდ დაჯარიმებული პირების მიმართ 3000-ლარიანი საჯარიმო ქვითრების გაუქმების მოთხოვნით.მოცემულ ეტაპზე 1 საქმეზე გაუქმდა საჯარიმო ქვითარი. ორგანიზაცია ელოდება მსგავს 4 საქმეზე სასამართლო სხდომის ჩანიშვნას. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევებში იურისტები საქმეში ერთვებოდნენ სასამართლო ეტაპზეც.

საგანგებო მდგომარეობის პირობების დარღვევის საფუძვლით,რიგ შემთხვევაში, მოქალაქეების დაჯარიმება ხდებოდა უკანონოდ, რადგან საპატრულო პოლიცია მხედველობაში არ იღებდა არსებული გადაუდებელი აუცილებლობის ფაქტს, რომლის ფარგლებშიც მოქმედებდნენ მოქალაქეები. მსგავსი შემთხვევები გამოვლინდა, როდესაც კომენდანტის საათის დარღვევა და გადაადგილება მოუწიათ მოქალაქეებს მედიკამენტების შესაძენად, ასევე - ჩვილი ბავშვის აუცილებელი საჭიროებების გამო. ამასთანავე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ხდებოდა ღია ცის ქვეშ მცხოვრები უსახლკარო მოქალაქეების დაჯარიმება, როდესაც მათ არანაირი ალტერნატიული საცხოვრებელი არ გააჩნდათ.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა წარმატებით დაასრულა პოლიციის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმთან დაკავშირებული საქმის წარმოება[12]. ოქმის საფუძველზეც მოქალაქე დაჯარიმდა 3000 ლარით. დარღვევა გამოწვეული იყო გადაუდებელი აუცილებლობით, რაც უკავშირდებოდა მცირეწლოვანი ბავშვის

[12]ob. http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20228&lang=geo;

ჯანმრთელობის მდგომარეობას. სწორედ ამ საფუძვლით, მოქალაქე კომენდანტის საათის დროს იძულებული გახდა, გასულიყო სახლიდან. მან არსებული პრობლემის შესახებ საქმის კურსში ჩააყენა საპატრულო ეკიპაჟებიც. მიუხედავად ამისა, პოლიციამ არ გაითვალისწინა გადაუდებელი აუცილებლობა და მოქალაქე დააჯარიმა 3000 ლარით.

ორგანიზაციის იურისტებმა იურიდიული დახმარება შესთავაზეს ორ მოქალაქეს, რომლებიც ღია ცის ქვეშ ცხოვრობდნენ და საპატრულო პოლიციამ ისინი კომენდანტის საათის დაღვევის გამო დააჯარიმა. აღსანიშნავია, რომ ასეთ ვითარებაში მოქალაქის დაჯარიმება კომენდანტის საათის დარღვევის საფუძვლით უკანონოა. საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს **„სოციალური სახელმწიფოს პრინციპი“, რითაც კონსტიტუცია სახელმწიფოს მიუთითებს, რომ** *მან უნდა იზრუნოს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე.*[13] ნიშანდობლივია, რომ არცერთი ნორმატიული დოკუმენტი არ უშვებს გამონაკლისს იმ პირების მიმართ, რომლებიც ღია ცის ქვეშ ცხოვრობენ და არ გააჩნიათ თავშესაფარი. ამიტომ სასამართლოს მოუწევს პრაქტიკის ჩამოყალიბება და შესაბამისი განმარტება, რამდენად კანონიერია ასეთ ვითარებაში მოქალაქეების დაჯარიმება. მოცემულ საქმეზე საჯარიმო ქვითარი გასაჩივრებულია და ორგანიზაცია ელოდება შესაბამის გადაწყვეტილებას შინაგან საქმეთა სამინისტროდან. იმ შემთხვევაში, თუ ჯარიმა არ გაუქმდება ორგანიზაცია მოქალაქის უფლებებს დაიცავს სასამართლოშიც.

[13] იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი - https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36;

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო კერძო კომპანიებიდან მოქალაქეების უხელფასო შვებულებაში უვადოდ გაშვება ან უკიდურეს შემთხვევაში კომპანიებში ფინანსური კრიზისის არსებობის მოტივით დამსაქმებლისთვის „არასასურველი" თანამშრომლის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება. პროექტის მიმდინარეობის ეტაპზე მსგავსი პრეტენზიებით არაერთმა მოქალაქემ მომართა ორგანიზაციას დახმარების თხოვნით. იმ საქმეებში სადაც, რეალურად იკვეთებოდა არაკეთილსინდისიერი დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის მიმართ შრომის კოდექსის და ხელშეკრულების პირობების დარღვევა, ორგანიზაცია მყისიერად ჩაერთო საქმეში და ამ ეტაპზე 2 საქმეს აწარმოებს საერთო სასამართლოებში.

პროცენტულად ყველაზე მეტი (დაახლოებით - 55%) მომართვიანობა მოქალაქეების მხრიდან შეინიშნებოდა საბანკო ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების კუთხით.

2020 წლის მარტის თვეში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ გარკვეულ საბანკო პროდუქტებზე დაწესდა საშეღავათო პერიოდი. საზოგადოებაში გაუგებრობა გამოიწვა ბუნდოვანმა განმარტებებმა და მოლოდინმა, რომ საშეღავათო პერიოდი რეალურად ემსახურებოდა არსებული ფინანსური სირთულეების დაძლევას. სექტემბრის დასაწყისიდან მოსახლეობის უმეტესობა, რომლებსაც საბანკო ვალდებულებები გააჩნდათ, აღმოჩნდნენ ისეთი რეალობის წინაშე, რომ ყოველთვიური გადასახადი გაეზარდათ და ფაქტობრივად არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ბანკის წინაშე ვერ ასრულებდნენ. მსგავსი კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის მიზნით, ორგანიზაციის იურისტების დახმარებით, მოქალაქეებმა გარკვეული საშეღავათო პერიოდი მიიღეს ბანკების მხრიდან. ამ გზით კი პრობლემური

მოვალის მიმართ აღსრულების მექანიზმის გააქტიურების შეჩერება გახდა შესაძლებელი.

ასევე ერთ-ერთი საქმე, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლოში აწარმოებს ორგანიზაციის იურისტი, უკავშირდება თბილისის მერიის მიერ 26000 ლარით მოქალაქის დაჯარიმებას. მოცემულ შემთხვევაში, სადავო გახდა ქალაქებს შორის გადაადგილების შეზღუდვის დროს კორესპონდენციის ჩაბარების და მისი გასაჩივრების საკითხი. ვინაიდან ქვეყანაში შეზღუდული იყო ტრანსპორტით გადაადგილება, სოფლიდან ბენეფიციარმა ვერ მოახერხა დროულად ჩასვლა დედაქალაქში და შესაბამისი რეაგირება. თბილისის მერიის დადგენილება ზემდგომ ორგანოში გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით, მაგრამ საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამიტომ ორგანიზაციის იურისტმა გაასაჩივრა აქტი კანონით დადგენილი წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში. ორგანიზაცია ელოდება სასამართლო სხდომის ჩანიშვნას.

მომართვიანობა მოქალაქეების მხრიდან შესამჩნევი იყო საკარანტინე სივრცეებიდან. ორგანიზაციას დახმარების თხოვნით მომართეს პირებმა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ კანონით გათვალისწინებული იზოლაციის პერიოდი[14] გასული ჰქონდათ და საკარანტინე სივრცის დატოვების უფლებას არ აძლევდნენ. ასეთ ვითარებაში ორგანიზაციის იურისტები პროაქტიულად მიმართავდნენ ჯანდაცვის სამინისტროს, შესაბამისი განმარტების და პირების საკარანტინე სივრცეებიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლების თაობაზე. ორგანიზაციის მოთხოვნა ამ მიმართულებით დაკმაყოფილდა.

[14] იხ. საქართველოს მთავრობის N322-ე დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/4877009?publication=69

ამასთანავე, საკარანტინე სივრცეებში მოქალაქეთა პრეტენზიები ეხებოდა კვების სანიტარულ-ჰიგიენურ პრობლემებს[15]. ორგანიზაციას მომართა ბათუმის საკარანტინე სივრციდან მოქალაქემ, რომელიც საკვების მომზადების და პირობების კრიტიკულ შეუსაბამობაზე საუბრობდა. მოქალაქემ შესაბამისი ფოტოებიც გამოგზავნა. ორგანიზაციის იურისტმა დაუყოვნებლივ მიმართა სასტუმროს ადმინისტრაციას, ასევე სურსათის ეროვნულ სააგენტოს და ტურიზმის ადმინისტრაციას ფაქტის შესწავლის მიზნით. ***სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის საფუძველზე განხორციელდა როგორც გეგმიური ასევე არაგეგმიური ინსპექტირება. ბიზნესოპერატორის შემოწმებისას ინსპექტორებმა ჰიგიენის ზოგად მოთხოვნებთან მიმართებით გამოვლენილ შეუსაბამობებზე ბიზნესოპერატორს რეკომენდაციები მისცეს და გონივრული ვადა განუსაზღვრეს მათ გამოსასწორებლად[16].***

საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მოქალაქეების ნაწილს დაუსაბუთებლად უარი ეთქვათ მთავრობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 1200-ლარიანი და ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემაზე. მთავრობის გადაწყვეტილებით, ის პირები, რომლებიც დაზარალდნენ კორონავირუსის გამო და დაკარგეს სამსახური მიიღებდნენ 1200-ლარიან კომპენსაციას, კერძოდ - ექვსი თვის განმავლობაში, თვიურად 200 ლარის ოდენობით, ხოლო თვითდასაქმებულები - ერთჯერად 300-ლარაინ კომპენსაციას. ორგანიზაციას დახმარების თხოვნით მომართეს მოქალქებმა, რომლებმაც ვერ მიიღეს კომპენსაციები და დაუსაბუთებლად ეთქვათ უარი მის გაცემაზე. ორგანიზაციამ მსგავს საქმეებზე კომუნიკაცია დაიწყო

[15]იხ. https://bit.ly/3jsUXFo ;
[16]იხ. https://bit.ly/35Y6E2W;

პირველ რიგში დამსაქმებელთან და შემდგომ - შემოსავლების სამსახურთან, ჯანდაცვისა და ფინანსთა სამინისტროსთან. კომპენსაციის გაცემაზე უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, ცენტრის იურისტებმა შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნით სასამართლოს მიმართეს. განსახილველი საქმეები, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და წესით ადმინისტრაციულ საქმეთა განსჯადია, სასამართლომ სამოქალაქო კოლეგიას გადაუგზავნა განსახილველად.

ქვეყანაში არსებული ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო რიგი შეზღუდვები დაწესდა. შეზღუდვები და რეკომენდაციები შეეხო 2020 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს. როგორც მედიასაშუალებებით ცნობილი გახდა[17], ერთ გამოსაცდელს დაუფიქსირდა კორონავირუსი ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის შემდეგ. გავრცელებული ინფორმაციით, გამოსაცდელს სხვა გამოცდებზე არ დაუშვებდნენ, ასევე - იმ აბიტურიენტებს, რომლებიც ინფიცირებულთან იმყოფებოდნენ აუდიტორიაში. ორგანიზაციამ განცხადებით მიმართა განათლების სამინისტროს, რომ სახელმწიფოს დროულად მოეხდინა უზრუნველყოფა და გამოსაცდელებს მისცემოდათ შესაძლებლობა ეროვნულ გამოცდებზე გასვლის.

პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის განმარტებით, 2020 წლის გამოცდები მიმდინარეობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანებით დამტკიცებული რეკომენდაციების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა

[17]ob. https://bit.ly/2KFUDqZ ;

და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება კორონავირუსით დაინფიცირებული გამოსაცდელისთვის დარჩენილი ერთი საგნის ჩაბარების შესაძლებლობის მიცემის თაობაზე. შესაბამისად, იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, გათვალისწინებული ყოფილიყო აბიტურიენტის უფლებები და, მეორე მხრივ - დაცული სხვა აბიტურიენტთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები, დარჩენილ საგანში კორონავირუსით ინფიცირებულმა აბიტურიენტმა გამოცდა ჩააბარა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში. ხოლო კორონავირუსის მქონე გამოსაცდელთან მსხდომი სხვა აბიტურიენტები გადაიყვანეს საკარანტინე სივრცეში და გამოცდებში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის ბრძანებით დამტკიცებული რეკომენდაციების შესაბამისად.

მოქალაქეთა სამართლებრივი დახმარებისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც ასევე ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო, საერთო სასამართლოებში შექმნილ ვითარებას უკავშირდება. ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე, კორონავირუსის გავრცელების გამო, სასამართლო დროულად არ ნიშნავს საქმის განხილვას. სხდომები არ ინიშნება დისტანციურ ფორმატშიც, მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შესაბამისი რეკომენდაციები[18] მიიღო, რომ პანდემიის პირობებში სასამართლოებმა უზრუნველყონ დისტანციური სასამართლო სხდომების გამართვა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი გამოეხმაურა 2020 წლის 15 დეკემბერს თბილისში, ქალაქ თბილისის მერის ბრძანებით ე.წ. აფრიკის დასახლებაში

[18] იხ.იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციები - http://hcoj.gov.ge/ge/iustitsiis-umaghlesi-sabchos-rekomendatsiebi/3701

უკანონოდ აშენებული შენობა-ნაგებობების იძულებითი დემონტაჟის პროცესს. ორგანიზაციის შეფასებით, ქალაქ თბილისის მერიის მხრიდან მსგავსი გადაწყვეტილების მიღება ისეთ რთულ ეპიდემიოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, როგორშიც ამჟამად ქვეყანა იმყოფება, მიუღებელი და არაადეკვატურია[19]. მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი, რაც გულისხმობს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. ორგანიზაციამ ხელისუფლებას მოუწოდა, იზრუნოს ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე, უზრუნველყოს იგი საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით, ასევე იზრუნოს ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი ე. წ. აფრიკის დასახლებაში დანგრეული შენობების მეპატრონეებს ადგილზე შეხვდა და გაუწია იურიდიული კონსულტაცია.

მოცემულ ეტაპზე ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები აგრძელებენ საქმის წარმოებას როგორც კერძო ასევე საჯარო დაწესებულებებთან ბენეფიციარების უფლებების დასაცავად. იურისტები, ასევე, ჩართულები არიან სამართალწარმოების პროცესში, რომ მოქალაქეებს დაეხმარონ დარღვეული უფლებების რესტიტუციაში.

[19] იხ. განცხადება - https://bit.ly/34pxAHD;

5. დასკვნა

ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების პარალელურად, საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა შეზღუდვებმა, როგორც საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში, ასევე მის შემდგომ პერიოდში მრავალი მიმართულებით წარმოშვა სამართლებრივი პრობლემა და გამოავლინა საკანონმდებლო ბაზაში არსებული ხარვეზები. შესაბამისად, რეგულირების მიღმა დარჩენილმა საკითხებმა პრაქტიკაში იჩინა თავი და საზოგადოებაში გამოიწვია ლეგიტიმური კითხვები. ამასთანავე, დღის წესრიგში დადგა კონსტიტუციურ სტანდარტებთან მიმართებით შესაბამისი ბალანსის დაცვის სირთულე და ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევის საფრთხეც.

პროექტის - „დემოკრატია და ადამიანის უფლებები პანდემიის და საგანგებო მდგომარეობის პირობების“ ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის უფასო იურიდიული დახმარების აქტივობები შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს სახელმწიფოს მოუმზადებელი მოქმედებები სხვადასხვა მიმართულებით. ხელისუფლება მზად არ აღმოჩნდა, ეპასუხა ახალი კორონავირუსის პირობებში წარმოშობილი გამოწვევებისთვის ისე, რომ არ შელახულიყო ადამიანის ძირითადი უფლებები და დაეცვა სრულყოფილად სოციალური სახელმწიფოს პრინციპი.

ვინაიდან ჯერ კიდევ უცნობია პანდემიის დროით შემოსაზღვრის საკითხი, ამიტომ სახელმწიფომ აუცილებელია, მყისიერად უზრუნველყოს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და აღმოფხვრას ნორმატიულ ბაზაში არსებული ხარვეზები, შესაბამისი ინსტიტუტების გამართული ფუქციონირება და კონსტიტუციური პრინციპების განუხრელი დაცვა.